ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 33

*16.08.2019*
*14:00 საათი*

*ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
*ოთახი (2-01)*

მიმდინარე წლის 16 აგვისტოს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობებისა და საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ცირეკიძე და ვიცე პრეზიდენტი ზაზა ჩიტრეკაშვილი, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის რეკომენდაციის განხილვა, საცხენოსნო სპორტის განვითარების თაობაზე (საფუძველი 02-031920536-03, 24.07.2019) *(მომხსენებელი - დავით ცირეკიძე საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობებისა და საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი)*
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიშის წარდგენა და სამომავლო გეგმების დასახვა *(საანგარიშო პერიოდი 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 1 ივლისი) (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)*

*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.*

მოისმინეს:

საცხენოსნო სპორტის განვითარების, კერძოდ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშების-ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულას პოპულარიზაციის შესახებ ინფორმაცია კომისიას საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობებისა და საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა წარუდგინა.

**დავით ცირეკიძე** - ისტორიულად საქართველოში საკმაოდ პოპულარული გახლდათ ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი და მარულა, რომელთაც მიენიჭათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. აღნიშნული ფედერაცია აპირებს აღნიშნული სპორტის სახეობების განვითარებას, აღნიშნულიდან გამომდინარე შეადგინეს განვითარების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ცხენოსნობის ეროვნული სახეობების განვითარებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის ესაჭიროებათ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საერთაშორისო დონის იპოდრომის აშენება, ცხენების და სპეციალური ინვენტარისა სატრანსპორტო საშუალებების შეძენა. პროგრამის მიზანია ხალხური თამაშობების განვითარება, უსაფრთხოების სტანდარტების დამკვიდრება ტრადიციული დოღის გასამართად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

**აზრი გამოთქვეს:**

**გიორგი ჩაკვეტაძე** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არ აქვს კომპეტენცია დაადგინოს რომელი სპორტული ორგანიზაცია წარმოადგენს ფედერაციას და რომელი არა, ეს გახლავთ შესაბამისი სამინისტროს გადასაწყვეტი. ჩვენ გვაქვს ვალდებულება, აღიარებულ ფედერაციებს როგორც თბილისის ასევე ეროვნულს გავუწიოთ მხარდაჭერა, რაც ასახულია დედაქალაქის ბიუჯეტში, თქვენი ფედერაცია არის შესაფასებელი და უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან, ვიმედოვნებთ, რომ ეს ოთხი ქართული სპორტის სახეობა სამომავლოდ მიიღებს იუნესკოს კულტურული ძეგლის სტატუსს.

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო** საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობებისა და საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ცხენოსნობის განვითარების შესახებ.

მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში და სამომავლო გეგმები *(საანგარიშო პერიოდი 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 1 ივლისი)* - კომისიას წარმოუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

მოგეხსენებათ, რომ კომისია ახორციელებს ბიუჯეტის მონიტორინგს და აკვირდება ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცესს. კომისია ამზადებს სამართლებრივ აქტებს, თანამშრომლობს მერიისა და გამგეობების შესაბამის სამსახურებთან, სამინისტროებთან და პარლამენტთან. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია ორგანიზებას უწევს

დარგობრივ სამუშაო შეხვედრების ჩატარებას სპორტული ფედერაციების და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებთან. მჭიდროდ თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან, სპორტულ ფედერაციებთან და მედია საშუალებებთან.

კომისიის ინიციატივით 2018 წლის თებერვალში დაფუძნდა ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი'', სადაც საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრები იღებენ მონაწილეობას. ფორუმის ფარგლებში მიღებული შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს. კომისია მართავს კამპანიური სახის ღონისძიებებს - ,,წარმატებული სპორტსმენების მასპინძლობა", ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს თბილისის საჯარო სკოლებში'', ,,თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2019'', რომელიც იმედი გვაქვს მომავალში სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება. კომისია მხარს უჭერს სპორტულ და ახალგაზრდულ პროექტებს თუ წამოწყებებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. მიმდინარეობს მუშაობა თბილისის მინი სტადიონების თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანის და მოვლა პატრონობის გაუმჯობესების მიმართულებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებში სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით შენარჩუნებულია ყველა ინფრასტრუქტურული პროგრამა და მთავარი პრიორიტეტები. ინფრასტრუქტურის კუთხით ყველაზე მასშტაბური გახლავთ დიდი დიღმის და ვარკეთილის მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა. სრულდება წყნეთის საჭიდაო დარბაზის სამშენებლო სამუშაოები, დედაქალაქში მიმდინარეობს სხვადასხვა ლოკაციებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, ისანში ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია, აღსანიშნავია ასათიანის ქუჩაზე სპორტული ცენტრის რეაბილიტაციის და ლილოში საცურაო აუზის მშენებლობის პროექტებიც.

2019 წელს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ჩაატარა 8 სხდომა, განიხილა 14 საკითხი, მომზადდა 6 დასკვნა და 8 კომისიის სხდომის ოქმი საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად. შემოსული იყო 203 საკრებულოს მასალა და 115 მოქალაქე მივიღეთ საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საკითხზე. კომისიის მიერ განხილული საკითხები ძირითადად ეხება ქალაქში მიმდინარე პროექტებს სპორტისა და ახალგაზრდობის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტული ადაპტირებული გარემოს შექმნის მიმართულებებს. კომისიის სხდომებზე მხარი დავუჭირეთ ,,თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2019" ჩატარებას, განვიხილეთ თბილისის ბიუჯეტის ცვლილებები, მხარი დავუჭირეთ ელექტრო ძრავიანი ორბორბლიანი ტრანსპორტის ხელშეწყობის პროექტს, მოვისმინეთ მერიის შესაბამისი სამსახურის მუშაობის ანგარიში.

სამომავლოდ ვაპირებთ აღნიშნული აქტივობების გაგრძელებას. ასევე ვგეგმავთ სტაჟიორთა მიღების წესში ცვლილებას და მინი სტადიონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის წესის შემუშავებას, ახალგაზრდული საჭიროებების საფუძვლიანი კვლევის ჩატარებას, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის'' ფარგლებში დაწყებული აქტივობების გაგრძელებას და ,,თბილისის სასკოლო ლიგის'' ჩატარებას სპორტის სხვადასხვა სახეობაში გრძელვადიანი პერსპექტივით ელექტრონული საიტით და სოციალური გვერდით. ასევე. გავაგრძელებთ წარმატებული სპორტსმენებს მიღებას საკრებულოში და ყველა სხვა აქტივობას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში *(საანგარიშო პერიოდი 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 1 ივლისი).*

*სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე